



Food and Agriculture  
Organization of the  
United Nations



General Fisheries  
Commission for  
the Mediterranean

BlackSea4Fish


# ზუთხები შავ ზღვაში



შემოუერთდით ჩვენს  
გადაუდებელ აქტივობას  
საკულტო სახეობის ჯგუფის  
დაცვისათვის



Funded by the  
European Union






ზუთხები (*Acipenseridae*)  
პლანეტაზე დინოზავრების  
ხანიდან არსებობენ.



ის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე  
საფრთხის ქვეშ მყოფ წყლის  
სახეობათა ჯგუფს მიეკუთვნება,  
რომლის 25 სახეობიდან 17 იშვიათ  
სახეობადაა კლასიფიცირებული.

შავ ზღვაში  
არსებობს ზუთხის  
რამდენიმე  
სახეობა.



შავი ზღვის ყველაზე  
დიდი ზუთხი, სვია, 4  
მეტრ სიგრძეზე მეტს  
აღწევს.



ზუთხის თევზჭერა  
შავი ზღვის არც ერთ  
ქვეყანაში აღარ არის  
ნებადართული.



შესაბამისი  
დაუყოვნებელი ზომების  
მიღების გარეშე ზუთხს  
რეგიონული გადაშენება  
ემუქრება.





© GFCM / BlackSea4Fish project

## შავი ზღვის ზუთხის სახეობასთან დაკავშირებული ძირითადი საფრთხეები

### უკანონო თევზჭერა და ვაჭრობა

ათწლეულების მანძილზე არამდგრადი თევზჭერის შემდეგ, ზუთხს კვლავ უკანონოდ და არამდგრადად იჭერენ, შავი ზღვის ფარგლებში მისი ქვირითითა და ხორციით ვაჭრობენ, რაც მკვეთრად ამცირებს მის პოპულაციას.



### მიგრაციის გზებთან დაკავშირებული დაბრკოლებები

ჰიდროენერგეტიკული კაშხლები და სხვა დაბრკოლებები მდინარეებზე არღვევენ შავი ზღვის ზუთხის სასიცოცხლო ციკლს, რაც ხელს უშლის მის თავისუფლად გადაადგილებას ზემოთ მათი ტოფობის ადგილებამდე, ქვემო დინების მიმართულებით შესართავებისკენ და მდინარის დელტებისკენ, სადაც ისინი იკვებებიან.

### დაბინძურება

ზუთხი განსაკუთრებით მგრძობიარეა წყლის დაბინძურებისა და სილით დალექვის მიმართ, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც თევზის ფიზიოლოგიას, ასევე მის ჰაბიტატებსა და საკვების მარაგს. შავი ზღვის დაბინძურების წყაროებთან გამკლავების მიზნით საჭიროა მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარება.

### თანჭერა

მიუხედავად იმისა, რომ ზუთხის მიზანმიმართული ჭერა შავ ზღვაში უკანონოა, დარჩენილი პოპულაციისათვის თანჭერა მაინც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. აუცილებელია მონიტორინგის გაძლიერება, ასევე ზუთხის თანჭერის შემცირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავება და გაზიარება თევზჭერის ფლოტებში.



© Maxim Yakovlev

## ჩვენ თქვენი დახმარება გვჭირდება!



ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალურ კომისიის (GFCM) ძალიან დიდი სურვილია რომ მოუსმინოს მეთევზეებს, რომელთაც აქვთ ინფორმაცია ზუთხის თანჭერის შესახებ, ან შეუძლიათ შეტყობინება თევზჭერის ისეთ აქტივობაზე, რომელიც წარმოშობს თანჭერილს, მიზანმიმართულად თუ მის გარეშე.

თქვენ შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ელ.ფოსტის საშუალებით [ramaz.mikeladze@nea.gov.ge](mailto:ramaz.mikeladze@nea.gov.ge)

### ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისია, BlackSea4Fish და ზუთხის აღდგენის პროექტი

GFCM მართავს რეგიონის თევზჭერას. კომისიაში შედის 22 წევრი ქვეყანა და ევროკავშირი, მათ შთავარ მიზანს წარმოადგენს ხმელთაშუაზღვისა და შავი ზღვის საზღვაო ცოცხალი რესურსების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა.

2016 წელს GFCM-მ წამოიწყო პროექტი **BlackSea4Fish**, რომელიც უზრუნველყოფს შავი ზღვის თევზჭერის მდგრადი მართვის სამეცნიერო და ტექნიკურ მხარდაჭერას. BlackSea4Fish ამჟამად მუშაობს ეროვნულ პარტნიორებთან ერთად საპილოტე პროექტზე რეგიონში ზუთხის პოპულაციების დასაცავად, რომელიც მიზნად ისახავს თევზჭერის ზემოქმედების შეზღუდვას და კონსერვაციის გაძლიერებას. საპილოტე პროექტის საბოლოო შედეგები გაზიარებული იქნება 2024 წელს.

საპილოტე პროექტი მოიცავს ცნობიერების ამაღლების კამპანიებს და რეგიონული მასშტაბით იმ კრიტიკულ საკითხებზე საუბრებს, რომელიც საფრთხეს უქმნის ზუთხის მომავალს, როგორცაა თანჭერა და უკანონო საქმიანობა. კერძოდ, პროექტის პარტნიორები იმუშავებენ შავი ზღვის მეთევზეებთან, რათა გამოიყენონ მათი უნიკალური გამოცდილება და ცნობიერება, შეავსონ ცოდნასთან დაკავშირებული ხარვეზები და აცნობონ მართვის გეგმები ამ კრიტიკული საფრთხის ქვეშ მყოფი შავი ზღვის თევზის თაობაზე.

ზუთხის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია ტარდება რუმინეთის საზღვაო კვლევისა და განვითარების ეროვნულ ინსტიტუტთან (NIMRD) და მეთევზეობისა და აკვაკულტურის ეროვნულ სააგენტოსთან (NAFA), თურქეთის მეთევზეობის ცენტრალურ კვლევით ინსტიტუტთან (SUMAE) და მეთევზეობისა და აკვაკულტურის გენერალურ დირექტორატთან (BSGM), საქართველოს გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან (NEA) და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან და ბულგარეთის მეთევზეობისა და აკვაკულტურის აღმასრულებელ სააგენტოსთან (EAFA) თანამშრომლობით, GFCM-ის შავი ზღვის ტექნიკური დანაყოფის ხელმძღვანელობით.



Some rights reserved. This work is available under a CC BY-NC-SA 3.0 IGO licence